ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/01/24-07

21 დეკემბერი, 2023 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (ს/კ - 202307404, შემდგომ - შემსყიდველი), წარმოდგენილი ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის, თამარ მთავრიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „მაგთიკომი“ (ს/კ - 204876606, შემდგომ - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის, ზურაბ ზარიძის სახით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომ – ხელშეკრულება) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. შემსყიდველი ორგანიზაცია - (შემდგომ - შემსყიდველი) ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 მიმწოდებელი - პირი, რომელიც აწვდის შესყიდვის ობიექტს წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესაბამისად, შემსყიდველის მიერ მითითებული მისამართების TCP/IP შეერთება და სხვა თანამდევი მომსახურება.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **(CPV-72400000)**.

2.3 მომსახურების დასახელება და აღწერა (TCP/IP არხების (შემდგომ - არხები) რაოდენობა, მისამართი, არხის სიჩქარე და მომსახურების სახეები) განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით, ხოლო მომსახურების დონის შეთანხმება - №2 დანართით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება, №1 დანართის შესაბამისად, შეადგენს **382560.00** ლარს, ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის გათვალისწინებით.

3.2 დაფინანსების წყარო: სააგენტოს საკუთარი შემოსავლები.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული მომსახურება 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

ბ) უზრუნველყოს №1 დანართში ჩამოთვლილი მომსახურებებით უზრუნველყოფა მითითებული ტარიფებით, ასევე არხების მიმართულებებით შემსყიდველის ოფისებს შორის კავშირი და მისცეს საშუალება შემსყიდველს უზრუნველყოს მიმწოდებლის აპარატურის ინტერფეისი საკუთარ აპარატურასთან;

გ) გადასცეს დამკვეთს კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო აპარატურა (თითოეული აღნიშნული აპარატურის გადაცემისას/მონტაჟისას თუ დემონტაჟისას მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი); უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მითითებულ და №1 დანართში მოცემული ოფისების ტერიტორიაზე მიმწოდებლის კუთვნილი საჭირო აპარატურის მონტაჟი;

დ) აპარატურისა და მოწყობილობების შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე განთავსებისას გაითვალისწინოს განთავსების ადგილისა და პირობების შესაბამისობა მათი მწარმოებლის მიერ დადგენილ ექსპლუატაციის ტექნიკურ ნორმებთან, ისევე როგორც უზრუნველყოს არხების შესაბამისობა ტექნიკურ ნორმებთან და პარამეტრებთან ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

ე) უზრუნველყოს თავისი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და დროულად აღმოფხვრას შეფერხებები;

ვ) არხების ჩართვა განახორციელოს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ყოველი დამატებითი არხის ჩართვა განხორციელდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებით;

ზ) ხელშეკრულების 4.4 პუქნტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით, 4.2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით მიღებული შეტყობინების საფუძველზე მოახდინოს კონკრეტული წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას №1 დანართში მითიებული ტარიფის შესაბამისად;

თ) წინასწარ, ერთი დღით ადრე შეატყობინოს შემსყიდველს ქსელზე ტექნიკური აწ რაიმე სხვა სახის სამუშაოს ჩატარების შესახებ.

ი) აწარმოოს ქსელის მუდმივი მონიტორინგი პრობლემების წინასწარ გამოვლენის და ქსელის და აპარატურის გამართული ფუნქციონირების მიზნით.

კ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ლ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველს წერილობით;

მ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას და შეუფერხებლად მიაწოდოს ინსპექტირების განმახორციელებელ ჯგუფს ყველა საჭირო დოკუმენტაცია/მასალა;

ნ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს თავისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

ო) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო აპარატურისთვის ფართის გამოყოფას, აპარატურის მონტაჟის ადგილებზე უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჭირო ნებართვის გაცემას;

ბ) საკუთარი და/ან მასთან გათანაბრებული ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს 4.1 მუხლში აღნიშნული კავშირის ინტერფეისი მიმწოდებლის აპარატურასთან. თუ ამ დროს ან შემდგომში დადგინდა, რომ შემსყიდველის მიზეზით დაზიანდა მიმწოდებლის აპარატურა, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიყენებული ზიანი;

გ) არხით სარგებლობისას და აპარატურის განთავსებისას მკაცრად დაიცვას მწარმოებლის მიერ დადგენილი აპარატურის ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმები, რომელიც შემსყიდველს გადაეცემა მიმწოდებლის მიერ აპარატურის დამონტაჟების დროს, თუ მხარეები ხელშეკრულების ამ პუნქტისაგან განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდნენ;

დ) ხელი შეუწყოს და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს მიმწოდებელს ქსელის მშენებლობის პროცესში;

ე) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გადაცემული აპარატურის მოვლა და დაცვა;

ვ) წინასწარ, ორი კვირით ადრე, წერილობით შეატყობინოს მიმწოდებელს, კონკრეტული არხის მიხედვით მისამართის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ;

ზ) ნებისმიერ დროს დაუშვას და მისცეს საშუალება მიმწოდებლის უფლებამოსილ თანამშრომლებს განახორციელონ შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე დამონტაჟებული აპარატურის გეგმიური პროფილაქტიკური რემონტი თუ სხვა სამუშაოები;

თ) აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად;

ი) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ მიწოდებული და მის მიერ შემსყიდველის მითითებულ მისამართზე დამონტაჟებული / შემსყიდველისთვის გადაცემული აპარატურა წარმოადგენს

მიმწოდებლის საკუთრებას. ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული აპარატურა უბრუნდება მიმწოდებელს.

4.4 მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს ან/და გადაავადოს მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართზე აპარატურის მონტაჟი, ისევე როგორც არ მოახდინოს მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მისამართზე ტექნიკურად შეუძლებელია კავშირის უზრუნველყოფა ან თუ დამკვეთის მიერ არ შესრულდა 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები.

4.5 შემსყიდველის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება შეცვალონ ან სხვაგვარად მოახდინონ პარამეტრების მოდიფიცირება მიმწოდებლის აპარატურაზე წინასწარი შეტყობინების და ამ უკანასკნელის წარმომადგენელების თანდასწრების გარეშე.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის თანამშრომელი, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას გაუწევს შესყიდვების სამსახურის თანამშრომელი.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი ნებისმიერ დროს და შეადგინოს ინსპექტირების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსაბამობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5.4 ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული მომსახურების ყოველთვიური საფასური განისაზღვრება №1 დანართში მოცემული განფასებებით.

6.2 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული შესყიდვის ობიექტის დასახელება და ღირებულება.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი), მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტობრივად მიღებული საქონლის მიხედვით.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

8.2 ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს, რათა დაიცვას ხელშეკრულების პირობები. თუ მიმწოდებელი, გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. შემსყიდველს აგრეთვე, უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, მიმწოდებლისთვის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერუზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3. მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების (მათ შორის ვადა) დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, გარდა ხელშეკრულების დანართი N2-ით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.6. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

9.7. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პირგასამტეხლოს ოდენობა არ შეიძლება აჭარბებდეს ხელშეკრულების ღირებულებას.

9.9. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.10. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს რომელიმე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.11 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მხარეები არ აგებენ პასუხს, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.

12.2 „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, პანდემიით (გარდა COVID-19), კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორსმაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

12.4. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.5. ხელშეკრულების 11.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან, გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა და გამოსაყენებელი სამართალი

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს შეუძლია მიმართოს მიმწოდებლის აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას. შემსყიდველის წერილობითი პრეტენზია / საჩივარი შედგენილი უნდა იქნას განცხადების სახით და წარედგინოს/მიეწოდოს მიმწოდებელს ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას N7 აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას ან მიმწოდებლის ნებისმიერი რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისს. პრეტენზიაში შემსყიდველმა უნდა მიუთითოს ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია პრეტენზიაში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რა მიაჩნია დამკვეთს ოპერატორის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება. შემსყიდველის მიერ წარდგენილი პრეტენზია განხილული იქნება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე წარმოშობილ ყველა სახის დავა უნდა გადაწყდეს მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, სხვა ნებისმიერი ქვეყნის სასამართლოების გამორიცხვით.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ და მის საფუძველზე წარმოშობილი, ნებისმიერი სახის ურთიერთობის, მათ შორის დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ქართული სამართალი.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვ.).

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მატერიალურად ხელმოწერის შემთხვევაში ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

მუხლი 16. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

16.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულების დადებიდან 15 სამუშაო დღეშიწარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო /სადაზღვევო გარანტია (კომპანიის თეთრ სიაში რეგისტრაციის გამო). ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო/სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

16.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. წარმოდგენილი საბანკო/სადაზღვევო გარანტია მიმწოდებელს არ დაუბრუნდება მის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების შემთხვევაში.

16.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

16.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა და/ან შესრულებაზე უარის თქმა და/ან ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ღონისძიებების განუხორციელებლობა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო/სადაზღვევო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

16.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

მუხლი 17. კონფიდენციალურობის დაცვა

კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მეორე მხარისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შესრულებისას, არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის გადაცემას ან გამოქვეყნებას მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობის დამრღვევ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს №1
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. GE024NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ს/კ - 202307404

მიმწოდებელი:
შპს „მაგთიკომი“
მისამართი: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №7
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№: GE96TB0600000899467899
სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ს/კ - 204876606

№	იდენტიფიკატორი	მისამართი	სიჩქარე	ადგილმდებარეობა	ღირებულება (ლარი)
1	TCP_88002004	თბილისი; მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია (თბილისის სარეზერვო დატაცენტრი)	300 მბ/წმ	თბილისი	10000
2	777003362	თბილისი; წერეთლის გამზ. 67ა (თბილისი სათაო)	300 მბ/წმ	თბილისი	1500
3	777003361	თბილისი; წერეთლის გამზ. 67ა (თბილისი სათაო)	300 მბ/წმ	თბილისი	10000
4	TCP_88000960	თბილისი; მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია (თბილისის სარეზერვო დატაცენტრი)	300 მბ/წმ	თბილისი	1500
5	TCP_88000921	თბილისი; მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია (თბილისის სარეზერვო დატაცენტრი)	1000 მბ/წმ Optic	თბილისი	2180
6	FTTP_32010111389	ლილოს არქივი	50 მბ/წმ	სხვა	800
7	TCP_88001705	ქუთაისი; სადგურის მოედანი 3ა	7 მბ/წმ	სხვა	450
8	TCP_88001699	საგარეჯო; ჯაფარიძის 2	7 მბ/წმ	სხვა	450
9	TCP_88001580	ხელვაჩაური; თამარ მეფის 10	7 მბ/წმ	სხვა	450
10	TCP_88001518	გორი; სამეფოს 54 (ხელშ. სამეფოს 52)	7 მბ/წმ	სხვა	450
11	TCP_88001441	ქუთაისი; აბაშიძის 20	7 მბ/წმ	სხვა	450
12	TCP_88001302	სამტრედია; რუსთაველის 28	7 მბ/წმ	სხვა	450
13	TCP_88001245	ახმეტა; ჩილოყაშვილის 50	7 მბ/წმ	სხვა	450
14	TCP_88000856	ბათუმი ; ხიმშიაშვილის 7	10 მბ/წმ	სხვა	500
15	TCP_88000848	ხაშური; ლომაურის 16/კოსტავას 7 იგივეა	7 მბ/წმ	სხვა	450
16	TCP_88000847	წალენჯიხა; ლეო ჭურღულიას ქ #5	7 მბ/წმ	სხვა	450
17	TCP_88000846	მცხეთა; მუხრანის 17	7 მბ/წმ	სხვა	450
18	TCP_88000838	თერჯოლა; რუსთაველის 95	7 მბ/წმ	სხვა	450
19	TCP_88000709	წეროვანი; დევნილა დასახლება	7 მბ/წმ	სხვა	450
				ჯამი	**31880**

№	შიდა ქსელის ტრაფიკის სიჩქარე	ყოველთვიური სააბონენტო, ლარი დღგ-ს ჩათვლით (თბილისი)	ყოველთვიური სააბონენტო, ლარი დღგ-ს ჩათვლით (სხვა დანარჩენი)
1	3 მბ/წმ (ლოკალი)	250	250
2	4 მბ/წმ (ლოკალი)	300	300
3	5 მბ/წმ (ლოკალი)	350	350
4	7 მბ/წმ (ლოკალი)	450	450
5	10 მბ/წმ (ლოკალი)	500	500
6	50 მბ/წმ (ლოკალი)	800	800
7	200 მბ/წმ (ლოკალი)	1200	1200
8	300 მბ/წმ (ლოკალი)	1500	1500
9	1000 მბ/წმ (ლოკალი)	2180	2180
10	120 მბ/წმ (გლობალი)	6500	6500
11	300 მბ/წმ (გლობალი)	10000	10000

ერთჯერადი მომსახურება	ღირებულება, ლარი დღგ ჩათვლით
რადიო ტექნოლოგიის შემთხვევაში ერთი წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი (თბილისი)	150
რადიო ტექნოლოგიის შემთხვევაში ერთი წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი (რეგიონი)	250
ოპტიკის შემთხვევაში ერთი წერტილის მონტაჟი ან დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი	ფასი დაანგარიშდება შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე

№2 დანართი

მომსახურების დონის შეთანხმება

მიმწოდებელი უზრუნველყოფს ქვემოთ არსებული პირობების შესაბამისად მომსახურების გაწევას:

ქსელის ფუნქციონირების/კავშირის შეწყვეტის ან ამ ქსელთან დაკავშირებული სხვა პრობლემების დაფიქსირების პროცედურა: მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურების ფარგლებში ნებისმიერი სახის ინციდენტის წარმოშობის შემთხვევაში, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი მიმწოდებელს უგზავნის წარმოშობილი ინციდენტის შესახებ ინფორმაციას შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე support@magtinet.ge. პასუხად, მიმწოდებლის წარმომადგენელი შემსყიდველს დამკვეთს უგზავნის ინფორმაციას ინციდენტის სტატუსის შესახებ შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე servicedesk@sda.gov.ge .

თბილისში არსებული წერტილებისათვის IP კავშირი თვის განმავლობაში უწყვეტად (ერთჯერადად) თუ შეწყდა 24 საათზე მეტი ხანგრძლივობით მიმწოდებლის მიზეზით, შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, გადაუხადოს მას პირგასამტეხლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. შემსყიდველის სამუშაო დროის პერიოდში, ქსელის ფუნქციონირების შეწყვეტის ყოველ საათზე შესაბამისი წერტილზე არსებული ყოველთვიური ჯამური ღირებულების პროპორციული გადასახადის 0,1%-ის ოდენობით, ხოლო 48 საათზე მეტი ხანგრძლივობით ქსელის ფუნქციონირების შეწყვეტის ყოველ საათზე ამ წერტილზე არსებული ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის 0.3%-ის ოდენობით.

სხვა დანარჩენ რეგიონებში არსებული წერტილებისათვის IP კავშირი თვის განმავლობაში უწყვეტად (ერთჯერადად) შეწყდა 72 საათზე მეტი ხანგრძლივობით მიმწოდებლის მიზეზით, შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, გადაუხადოს მას პირგასამტეხლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. სამუშაო დროის პერიოდში, ქსელის ფუნქციონირების შეწყვეტის ყოველ საათზე ამ წერტილზე არსებული ყოველთვიური ჯამური ღირებულების პროპორციული გადასახადის 0,1%-ის ოდენობით, ხოლო 96 საათზე მეტი ხანგრძლივობით ქსელის ფუნქციონირების შეწყვეტის ყოველ საათზე, ამ წერტილზე არსებული ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის 0.3%-ის ოდენობით.

Digitally signed by MagtiCom LLC
2023.12.21 16:11:35 +0400
მაგთიკომი
MAGTICOM